ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №666030

ნომერი: AR1127253

თარიღი : 24.04.2013

გაცემის თარიღი : 29.04.2013

გაცნობის თარიღი : 30.04.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კედია , (ყოფ. კახოვსკი) , N 10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კაპანაძე პ/ნ 01024018293
- ბერძნის ქ.39

ორგანიზაცია:

- შპს "აქსისი" კოდი: 211393357

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 5 მ-მდე სიგრძის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მქონე შენობა-ნაგებობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მშენებლობის წარმოებისათვის დროებითი მსუბუქი კონსტრუქციის მქონე ნაგებობის განთავსების ნებართვას . საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ ვინაიდან მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია #01.13.06.008.060 და მის მიმდებარე ტერიტორიებზე გაცემულია საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულიების გეგმის გეგმარებითი დავალება (ქალაქთმშენებლობითი პირობები #13434 (12.11.07.)) და #01/1778 (13.08.10.) ბრძანებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამიტომ (როგორც განცხადების აღნიშნავთ) თუ თქვენს მიერ დაგეგმილი შენობა ნაგებობა არის დამხმარე (მშენებლობის წარმოებისათვის საჭირო დროებითი ფუნქციით), საჭიროა აღნიშნული გაითვალისწინოთ მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, რაც უნდა აისახოს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის გენ– გეგმის ნახაზზე (მშენებლობის წარმოებისათვის საჭირო დამხმარე ნაგებობის სახით, დროებითი სტატუსით ,მშენებლობის დასრულებამდე) და ასევე კალენდარულ გრაფიკის ჩამონათვალშიც უნდა მიეთითოს მშენებლობის დასრულების ეტაპზე ამ ნაგებობის დემონტაჟისა და მისი ტერიტორიიდან გატანის შესახებ ინფორმაციაც. აღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური თქვენს თხოვნას, როგორც პირველი კლასის მახასიათებლების მქონე შენობა/ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებით ვერ დააკმაყოფილებს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge